პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 იანვარი შაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 21 (14321)

გუმბრინი გეგმის ზევით

წყალტუბო. (საკ. კორ.). „ხაჭუმბრინის“ მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა აღმავლობით დაიწყო ხუთწლედის მეოთხე წელი და პირველი წარმატებაც მოიპოვა. აქ იანვრის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით ამოიღეს 820 ტონა გუმბრინი და 18 იანვრისათვის შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მთელი თვის დავალება. ახლა აქ ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით 140-150 ტონა გუმბრინს იღებენ.

ახალი წლიდან საექსპლოატაციოდ გადაეცა ბანოჯის ღია კარიერები, საიდანაც გაცილებით მაღალი ხარისხის გუმბრინს იღებენ, ვიდრე მიწისქვეშა ქანებიდან. კარიერების კოლექტივი, რომელსაც გამოცდილი სამთოელი, კომუნისტი მ. ხოჭავა უძღვება, დღიურ დავალებას 115-120 პროცენტით ანაღდებს.

ᲩᲣᲗᲜᲚᲘᲗᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ — ᲕᲐᲓᲐᲒᲛᲘᲗ



თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის მარკიან დიდი სიზუსტის სახეხ ავტომატებსა და ნახევრადავტომატებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის ბევრ სამრეწველო საწარმოში შეხვდებით. ბევრი მათგანი ჩარხმშენებლობის პროდუქციის საზღვარგარეთის ქვეყნებში გასაგზავნ საუკეთესო ნიმუშებში შედის.

ქარხნის მუშათა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა კოლექტივი ღირსეულად ეწევა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ შრომითს ვახტს და ბეჯითად შრომობს თავისი პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად, ქმნის სახეხი ჩარხების ახალ მოდელებს.

სპეციალური ჩარხების ასაწყობ საამქროში ახლა მთავრდება ქართველი კონსტრუქტორების მიერ შექმნილი მრგვლად სახეხი სრული ავტომატის ახალი მოდელის სტ-68-ის გამოცდა.

სურათებზე: ზემოთ — ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი ა. ხუბულური (მარცხნივ) და სამრეწველო განყოფილების უფროსი დისპეტჩერი ი. ლომიძე ახალი ჩარხის გამოცდაზე; მარცხნივ — ქარხნის ვეტერანი, კონტროლის უფროსი ოსტატი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი გ. ვაწაძე, რომლის ხელშიც გაიარა ქარხნის დაარსების დღიდან გამოშვებულმა 10 ათასზე მეტმა ჩარხმა.

ფოტო ს. კილაძისა.

მეცნიერება — ცხოვრებას

ᲧᲐᲠᲐᲪ არ ცხრება განცვიფრებული, აღტაცებული მსოფლიოს ტაშისცემა საბჭოთა მეცნიერების ახალი უმაგალითო გამარჯვების გამო კოსმოსის ათვისებაში. კოსმოსში ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს გმირმა საბჭოთა კოსმონავტებმა! მსოფლიოში პირველი ორბიტალური სადგური — საბჭოთაა!

ეპოქა, რომელშიც ვცხოვრობთ, უდიდესია თავისი მეცნიერული და ტექნიკური ძვრებით, წინსვლით, განვითარებით. მეცნიერებისა და ტექნიკის ამ უმაგალითო წინსვლაში ღრმაა საბჭოთა ხალხის კოლექტიური გენის კვალი, ხალხისა, რომელიც ლენინური კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით აშენებს კომუნიზმს.

საბჭოთა მეცნიერება ჩვენს საზოგადოებაში გახდა უდიდეს საწარმოო ძალად, მისი მონაპოვრები, აღმოჩენები და გამოკვლევები უაღრესად დიდ როლს ასრულებენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ქართველ მეცნიერთა რაზმი საბჭოთა მეცნიერების უდიდეს ძალას წარმოადგენს, საქართველოს მეცნიერები საბჭოთა მეცნიერების არმიის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს შეადგენენ.

ახლა, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი თავდადებით იბრძვის პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, განუზომელია მეცნიერული და ტექნიკური აზრის როლი და ძალა.

ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სახალხო მეურნეობის შემდგომი ტექნიკური შეიარაღება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლება მოითხოვს თანამედროვეობის აქტუალური სამეცნიერო პრობლემების შემდგომ გადაჭრას, მეცნიერული პროგრესის ყოველი ღონისძიებით დაჩქარებას, მეცნიერული კვლევის შედეგების რაც შეიძლება სწრაფად დანერგვას სახალხო მეურნეობაში, ქართველ მეცნიერთა მთელი საქმიანობაც სწორედ ამ დიდმნიშვნელოვან პრობლემათა გადასაჭრელად არის წარმართული. ყოველი მეცნიერული დისერტაცია — საკანდიდატო იქნება ის თუ სადოქტორო, ყოველი მეცნიერული კვლევა უნდა ემსახურებოდეს ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებას, ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულ საქმეებს.

გასულ წელს, ისევე როგორც წინა წლებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია განაგრძობდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას თანამედროვე მეცნიერების ყველა დარგში, და ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ მნიშვნელოვანი შედეგებიც გამოიღო. მათემატიკის, მექანიკის, ფიზიკის, ასტრონომიის თანამედროვე მიმართულებების მიხედვით დასმული საყურადღებო თეორიული პრობლემების გადაწყვეტასთან ერთად აღნიშნულ დარგებში ქართველ მეცნიერთა მიერ დამუშავებულია მნიშვნელოვანი გამოყენებითი ხასიათის საკითხებიც. ნაყოფიერი მუშაობა განსწიეს ჩვენმა გეოფიზიკოსებმა, გეოლოგებმა და გეოგრაფებმა. მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული მძლავრ გრავა-ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედების მეთოდების შემდგომი დამუშავების საქმეში სეტყვიანობის თავიდან აცილების მიზნით. გაწეული კვლევა-ძიების შედეგად ახალი მიღწევებია მიღებული თანამედროვე მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორიც არის კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, სამშენებლო მექანიკა, სამთო მექანიკა, მანქანათმცოდნეობა, ქიმიისა და მეტალურგიაში, ბიოლოგიაში მიღებულია თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საუურადღებო შედეგები. შემუშავებულია ტექნოლოგია და ორგანიზებულია ნაძვის დიდი ლაფნიჭამიის წინააღმდეგ ახალი ეფექტური პრეპარატების საცდელი წარმოება. ტყის დიდ ფართობებზე ამ პრეპარატის გამოცდამ დადებითი შედეგი მოგვცა. პრეპარატი მიღებულია დასანერგავად. დიდად ვითარდება და წინ მიდის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგები.

ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის განუყოფელი ნაწილია ზრუნვა მეცნიერთა ახალი კადრებისათვის, მეცნიერთა რიგების შევსებისათვის. ჩვენს საერთო დიდ წარმატებებში ხომ ცოტა წვლილი არ შეაქვთ მეცნიერებათა ახალ ძალებს, ჩვენს ნიჭიერ, შემოქმედ, ბეჯით ახალგაზრდობას.

გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა პატრიოტული მოვალეობა მუდამ იყო და არის ახალი კადრების აღზრდა მშობლიური მზრუნველობით და მკაცრი მომთხოვნელობით. საქართველოში ჩვენი საუკუნის ოციან წლებიდან მოდის ეს დიდებული ტრადიცია და მას სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი, უმაღლესი სასწავლებლები ურუკვად აგრძელებენ, ღრმა სახელმწიფოებრივი მოვალეობის შეგნებით ეკიდება მეცნიერთა უფროსი თაობა ახალი კადრების აღზრდის საქმეს.

მეცნიერთა რიგების ძირითად მკვეთავ წყაროს წარმოადგენს ასპირანტურა. ამჟამად მარტო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში 368 ახალგაზრდა სწავლობს, აქედან 114 წარმოებისაგან მოუწყვეტლად. 35 ასპირანტი მოსკოვის, კიევისა და ხარკოვის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებში ემზადება მეცნიერული ასპარეზისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური, აგრეთვე პუშკინის სახელობის და უცხო ენათა ინსტიტუტების ასპირანტურებში ასობით კაცი სწავლობს.

ეს ასპირანტურები ძირითადად კარგად წარმართავენ მეცნიერთა ახალი კადრების აღზრდის საქმეს. აღსანიშნავია მომავალ მეცნიერთა ლტოლვა ტექნიკური და ზუსტი დარგებისაკენ. გასულ წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის კურსდამთავრებულთაგან 34-მა დაწერა და დასაცავად წარადგინა საკანდიდატო დისერტაცია.

ასპირანტურა მეცნიერთა კადრების შევსების მნიშვნელოვანი არხია. მან ყოველწლიურად ამთავრებს საგრძნობი რაოდენობა ახალგაზრდობისა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო დონეზე ამ ახალგაზრდა კადრების მომზადება. ახალგაზრდებს სჭირდებათ მეტი დახმარება, კვალიფიციური ხელმძღვანელობა. მეცნიერული შევსების, მეცნიერული ცვლის აღზრდა ყოველი ჭეშმარიტი მეცნიერის ვალია. სამწუხაროდ გვაქვს იმის მაგალითები, როცა ხელმძღვანელი-პროფესორი წელიწადში მხოლოდ ორ-ჯერ-სამჯერ თუ შეხვდება ხოლმე თავის ასპირანტს. აბა, რა აღზრდაზე და მომზადებაზე შეიძლება ლაპარაკი ასეთ შემთხვევაში!

მეტად დამფიქრებელია ის გარემოება, რომ ასპირანტთა დიდი უმრავლესობა ვერ ასწრებს ჩაეტოის სწავლის დაწესებულ მონაკვეთში (8 წელი). მან კი არა მარტო უნდა დაამთავროს ასპირანტურის სრული კურსი, არამედ ამ დროისათვის მზადაც კი იქნონოს სადისერტაციო შრომა, უფრო მეტიც — მოასწროს კიდეც მისი გამოკვეყნება.

ახალგაზრდობას კვებავს მეცნიერება. მაგრამ ისეც უნდა იყოს, — და არის კიდეც! — რომ მეცნიერებას კვებავდეს ახალგაზრდობა. მეტად რთულია მეურნეობა, რომელსაც მეცნიერებათა ახალი კადრების მომზადება ჰქვია. ეს იმ იდეალურ ბაღს წარმოადგენს, რომელშიც ტალანტები ხარობენ. თუ როგორ მოუვლიან ამ ტალანტებს, ხელს შეუწყობენ და გაფურჩქნიან მათ, ეს ბევრად დამოკიდებულია მეცნიერ ხელმძღვანელებზე, პედაგოგებზე, აღმზრდელებზე, ეს პირველ ყოვლისა დამოკიდებულია თვით ასპირანტის მოწადინებაზე. პარტიული ორგანიზაციები ოდნავაც ვერ დარჩებიან გულგრილნი ამ დიდი საქმის მიმართ. ისინი ყოველ მხრივ უნდა უწყობდნენ ხელს მეცნიერთა ახალი შევსებისა და ცვლის მომზადების საქმეს.

უმაღლეს სასწავლებლებს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის დაწესებულებებს მართებთ ყველა ღონისძიება მიიღონ მეცნიერთა ახალი კადრების აღზრდის ფორმისა და შინაარსის სრულყოფისათვის.

ᲐᲮᲚᲝᲕᲔᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ. ᲐᲛ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲣᲞᲐᲡᲣᲮᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲘᲡᲔᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲬᲘᲠᲕᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

მწყობრშია ახალი საამქრო

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანაში მწყობრში ჩადგა მოთობერების საამქრო, რომელიც საბოლოოდ განხორციელდა ფერადი რეზინის ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიური ციკლი.

ახალი საამქრო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და სამამულო წარმოების უახლესი წნეხებითა და აპარატებით არის აღჭურვილი. მოთობერების საამქროს, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერ-ტექნოლოგი ზ. მაჭაყარიანი უძღვება, უკვე დაიწყო სარეცხი მანქანებისათვის საჭირო ყველა სახის ფერადი რეზინის დეტალების გამოშვება. პირველი პროდუქცია ამ დღეებში გაეგზავნა ბათუმის სარეცხი მანქანების ქარხანას.

ქარხანა ეხმარება კოლმეურნეობას

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). „საქკაბელის“ ქარხნის კოლექტივი (დირექტორი დ. კუხიანიძე, პარტბიუროს მდივანი ა. ყანჩაველი) საქმიან შეფობას უწევს სოფელ ზოვეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას.

მეცხოველეობის ფერმაში მოუწესრიგებელი იყო ელექტროგაყვანილობა, არ კმაროდა ელექტროწყალილები. ეს ამბავი ქარხნის ხელმძღვანელობის ყურამდე მიეიდა. ქარხნის კოლექტივმა დახმარების მეგობრული ხელი გაუწოდა კოლმეურნეობას, საქმის გამოსასწორებლად გაგზავნა ბრიგადა ა. აბაშიძის ხელმძღვანელობით.

კოლმეურნეობის ფერმის ოთხ შენობაში დამონტაჟდა ელექტროგაყვანილობა, 40 წერტილი, სიღოსის დასამზადებელი აგრეგატი, ელექტროწისქვილი, მოეწყო ელექტროენერგიის აღრიცხვის ელექტროკარადა და სხვ.

ეს სამუშაოები კარგად შეასრულეს ქარხნის წარგზავნილებმა ჯ. ბარბაქაძემ, ე. ჩუბინიძემ, ა. აბეანდაძემ, მ. ჯიხვაშვილმა, თ. სადუნიშვილმა, მ. ლომსიანიძემ.

ქარხნის კოლექტივი შეფობას განაგრძობს.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲨᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ — ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲗᲔᲛᲐᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 23 იანვარი. (საკადესის კორ.). დღეს მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის მეორე პლენუმმა. პლენუმმა განიხილა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენისათვის მზადების საკითხები.

თათბირზე ინფორმაციები გააკეთეს მოკავშირე რესპუბლიკების მხატვართა კავშირების წარმომადგენლებმა ზ. ლეონავამ (საქართველოს სსრ), ს. მამბეტემა (უკბეთი), ვ. ობუხმა (მოლდავეთი), ი. ტორნმა (ესტონეთის სსრ) და სხვებმა.

პლენუმმა დაამტკიცა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობისა და სამდივნოს, აგრეთვე კავშირის შემოქმედებითი კომისიების მუშაობის 1969 წლის გეგმები.

Ი. Პ. ᲙᲝᲢᲚᲘᲐᲠᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ

1969 ᲬᲚᲘᲡ სექტემბერში სრულდება გამოჩენილი პოეტისა და დრამატურგის, ახალი უკრაინული ლიტერატურის ფუძემდებლის ივანე პეტრეს-ძე კოტლიარევსკის დაბადების 200 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეა მწერალი ვ. მ. კოჟევნიკოვი.





ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲖᲔ

ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲦᲘᲦᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲐᲔᲐᲑᲔᲑᲡ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ — ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲗᲔᲛᲐᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 23 იანვარი. (საკადესის კორ.). დღეს მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის მეორე პლენუმმა. პლენუმმა განიხილა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენისათვის მზადების საკითხები.

თათბირზე ინფორმაციები გააკეთეს მოკავშირე რესპუბლიკების მხატვართა კავშირების წარმომადგენლებმა ზ. ლეონავამ (საქართველოს სსრ), ს. მამბეტემა (უკბეთი), ვ. ობუხმა (მოლდავეთი), ი. ტორნმა (ესტონეთის სსრ) და სხვებმა.

პლენუმმა დაამტკიცა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობისა და სამდივნოს, აგრეთვე კავშირის შემოქმედებითი კომისიების მუშაობის 1969 წლის გეგმები.

ᲙᲣᲑᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲗ ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲨᲘ ᲩᲐᲓᲒᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲐᲮᲢᲘ

„ᲐᲚᲐᲙᲔᲓᲘᲜᲘᲡᲙᲐᲘᲐ“. შახტი აღჭურვილია ლავიდან ქვანახშირის ტრანსპორტირების დისტანციური მართვით.

საწარმოს წლიური მწარმოებლობა 600 ათასი ტონა კოქსვადი ქვანახშირია. ამ ქვანახშირს მიიღებს დასავლეთ-ციმბირის მეტალურგიული ქარხანა.

ᲝᲚᲘᲜᲘᲐᲙᲘ (კემეროვოს ოლქი).

ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ თეირანიდან მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, რომელიც ირანში იყო ამ ქვეყნის მთავრობის მიწვევით. (საკადესი).

ᲤᲘᲚᲛᲘ ᲙᲐᲠᲚ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲐ კინოს ოსტატებმა შექმნეს სრულმეტრაჟიანი ფილმი „დიადი სახე“. იგი ეძღვნება კარლ მარქსის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. 23 იანვარს ახალი კინოსურათი უჩვენეს მოსკოველ ჟურნალისტებსა და კრიტიკოსებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტში.

რეჟისორები ა. კოსაჩევი და ა. ცინგანი შეეცადნენ ბევრი დოკუმენტური მასალის საფუძველზე შეექმნათ კარლ მარქსის — მეცნიერისა და მოაზროვნის სახე. გადაღებები წარმოებდა ლონდონსა და სხვა ქალაქებში, სადაც კარლ მარქსი ცხოვრობდა. (საკადესის კორ.).

ᲔᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ

ᲡᲘᲗᲑᲝᲡ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲘ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲛᲐᲪᲐᲪᲠᲘ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲖᲘᲐᲜᲓᲔᲑᲐ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲜᲐᲠᲒᲐᲕᲔᲑᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲧᲘᲜᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲜᲐᲠᲒᲐᲕᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ.

ᲛᲔᲢᲐᲓ ᲠᲝᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲡ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲜ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲗᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ.

ᲛᲐᲪᲐᲪᲠᲘ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. ᲛᲐᲗᲘᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲯᲘᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲗᲖᲔ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲪᲜᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲩᲐᲠᲩᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲛᲐ ᲛᲣᲨᲐᲛ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲒᲚᲐᲕᲐᲜᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ ᲓᲐᲡᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲗ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲐᲖᲛᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲯᲘᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲗᲖᲔ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲪᲜᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲩᲐᲠᲩᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲛᲐ ᲛᲣᲨᲐᲛ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲒᲚᲐᲕᲐᲜᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ ᲓᲐᲡᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲗ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ. ᲐᲛ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲣᲞᲐᲡᲣᲮᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲘᲡᲔᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲬᲘᲠᲕᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲛ�პᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 24 იანვარი. (საკადესი). გაზეთი „აკახატა“ დღეს აქვეყნებს იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ცნობას იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-8 პლენუმის შესახებ, რომელიც 20-23 იანვარს მიმდინარეობდა. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, აგრეთვე ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები.

პლენუმზე მიიღეს პროგრამა — „ბრძოლის კურსი 1970 წლისათვის“, პარტიის ხელმძღვანელობის წინადადებანი ოკინაველთა ამა წლის 4 თებერვლის საყოველთაო გაფიცვის მხარდაჭერის შესახებ და სხვა გადაწყვეტილებანი.

პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს აგრეთვე პარტიის მშენებლობის საკითხები და პარლამენტის არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 24 იანვარი. (საკადესი). აქ გაიხსნა იაპონიის სოციალისტური პარტიის 32-ე საგანგებო ყრილობა. ყრილობა განიხილავს იაპონია-ამერიკის უშიშროების ხელშეკრულების წინააღმდეგ იაპონიის სოციალისტური პარტიის ბრძოლის, პარტიის გარდაქმნის საკითხებს, მიიღებს იაპონიის სოციალისტური პარტიის მოქმედების პროგრამას 1969 წლისათვის.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ა

მათ შექმნეს პირველი „სახლი ორბიტაზე“

პრეს-კონფერენცია მოსკოვის უნივერსიტეტში

აქ, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, უკვე მრავალჯერ შეკრებილან მსოფლიო პრესის წარმომადგენლები, რომლებსაც სწყუროდათ დაწვრილებით მოესმინათ მორიგი საბჭოთა კოსმოსური ექსპერიმენტის ამბავი თვით მისი მონაწილეებისაგან. მაგრამ, ამ დიდებულ დარბაზში დღეს განსაკუთრებით მოზდავდა ხალხი. აქ შეიკრიბა ასობით საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტი, რომლებიც „აღმურვილი“ იყვნენ ფოტოაპარატებით, კინო- და ტელეკამერებით. პრეს-კონფერენცია მიეძღვნა ბიოლოტირებული კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-4“-ისა და „სოიუზ-5“-ის გაშვებასა და წარმატებითს შეპირაპირებას, ორბიტული ფრენის დროს მსოფლიოში პირველად ორი კოსმონავტის გადასვლას ერთი ხომალდიდან მეორეში, შეხვედრას სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავებთან საბჭოთა კავშირის გმირებთან ამხანაგებთან ვ. ა. შატალოვთან, ბ. ვ. ვოლინოვთან, ე. ვ. ხრუნოვთან და ა. ს. ელისეევთან.

კორესპონდენტები მქუხარე ტაშით შეხვდნენ ოთხ დევ-გმირს— მსოფლიოში პირველი ექსპერიმენტული სადგურის შემქმნელთ.

პრეს-კონფერენცია, რომელიც მოწვეულ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა.

მან დაახასიათა სსრ კავშირში ბიოლოტირებული ფრენის ტექნიკის განვითარების ძირითადი ეტაპები. თანდათანობით, თქვა მეცნიერმა, დაწყებული 1957 წლის 4 ოქტომბრიდან, როცა გაშვებულ იქნა დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, იზრდება კოსმოსური ექსპერიმენტების სიხშირე და მნიშვნელობა. 1961 წლის აპრილში იური გაგარინის ფრენით დაიწყო ადამიანის მიერ კოსმოსური სივრცის პრაქტიკული ათვისება. მისი განხორციელებისათვის წინასწარ გადაიჭრა ურთულესი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემები. 1965 წელს ადამიანი პირველად გავიდა ღია კოსმოსში. ეს იყო საბჭოთა კოსმონავტი ალექსი ლეონოვი. კოსმოსური ფრენა შემდგომ განვითარეს ამერიკის „ჯემინის“ ხომალდებმა, რომლებზეც პირველად განხორციელდა აჯენის რაკეტასთან ხომალდის ხელით შეპირაპირება. 1967 და 1968 წლებში ორჯერ წარმატებით განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების „კოსმოსის“ ავტომატური შეპირაპირება, ხოლო 1968 წლის ოქტომბერში განხორციელდა ერთობლივი ფრენა ხომალდების „სოიუზ-2“-ისა და „სოიუზ-3“-ისა, რომლებსაც მართავდა კოსმონავტი მფრინავი გ. ტ. ბერეგოვი. იგი ახორციელებდა ხომალდების ძიებას, ერთმანეთთან მიახლოებისა და მანევრირების ექსპერიმენტს.

ახლა პირველად აიწყო ორბიტაზე ექსპერიმენტული კოსმოსური სადგური, მოეწყო ფრენის დროს ხომალდის ეკიპაჟის შეცვლის ექსპერიმენტი.

აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა აღნიშნა, რომ ახლანდელი ფრენა ფართო შესაძლებლობებს სახავს მუდმივმოქმედ კოსმოსურ სადგურზე კოსმოსურ სივრცეში სხვადასხვა ხანგრძლივი კვლევის საფარმოებლად, სახავს საჭირო ვადით ამ სადგურებში მეცნიერთა გაგზავნის შესაძლებლობებს. დღეია ხომალდების „სოიუზ-4“-ისა და „სოიუზ-5“-ის ექსპერიმენტის როლი სხვა პლანეტებზე გასაგზავნი მომავალი ექსპედიციების მოსამზადებლად, რადგან ასეთი ექსპედიციების მოწყობა რაციონალურია რამდენიმე კოსმოსური აპარატის შეპირაპირების საშუალებით.

მეცნიერმა აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში გეგმაზომიერად ხორციელდება მზედობანი მიზნით კოსმოსური სივრცის შესწავლისა და ათვისების ფართო და მრავალმხრივი პროგრამა. და გარანტია, რომ ეს პროგრამა შეიცავს კოსმოსური კვლევის სხვადასხვა მეთოდს, მათ შორის აკტომატური სადგურებისა და პილოტირებული ფრენის გამოყენებას. კერძოდ, შევქმენით და რამდენჯერმე წარმატებით გამოვცადეთ სადგური „ზონდი“, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ როგორც ავტომატური, ისე პილოტირებული ფრენა დედამიწიდან დიდ მანძილზე და უზრუნველყოფს მეორე კოსმოსური სიჩქარით დედამიწაზე დაბრუნებას.

მთავრისა და პლანეტებზე, თქვა შემდეგ მეცნიერმა, ჯერ კიდევ არის ბევრი გამოუკვლეველი რამ, რის შესწავლაც შეიძლება ავტომატური სადგურების საშუალებით, ხოლო მთელი რიგი ამოცანებისათვის საჭიროა ხანგრძლივი კვლევა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა მიმართულების მეცნიერები და სპეციალისტები. ორბიტულ სადგურებს ფართოდ გამოვიყენებთ ასტროფიზიკური, გეოფიზიკური, მეტეოროლოგიური და სხვა კვლევის საწარმოებლად, და ისინი შეიძლება გახდნენ პლატფორმა კოსმოსის სიღრმეებში ადამიანის შეღწევისათვის. ისინი საშუალებას მისცემენ მეცნიერებს მიუახლოვდნენ კვლევის ობიექტებს, არსებითად, გაკვირვებით დაკვირვების შესაძლებლობანი და ეს დაკვირვება აწარმოონ ხანგრძლივი დროის მანძილზე. ორბიტულ სადგურებს, უიმეველია, ფართოდ გამოვიყენებთ სხვადასხვა სახალხო-სამეურნეო ამოცანის გადასაწყვეტადაც.

ხომალდების „სოიუზ-4“-ისა და „სოიუზ-5“-ის წარმატებითმა ფრენამ, განაცხადა დასასრულ მეცნიერმა, გადაწყვეტა ასეთი სადგურების შექმნასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი ამოცანები. ეს შესანიშნავი ექსპერიმენტი ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევაა, ცხადყოფს ჩვენი მრეწველობის განვითარების მაღალ დონეს. ამხანაგების **ვ. ა. შატალოვის, ბ. ვ. ვოლინოვის, ა. ს. ელისეევისა, ე. ვ. ხრუნოვის** გმირული ფრენა „დედამიწიდან ეტანა დედამიწისირგვლივი, შემდგომში კი შორი კოსმოსური სივრცის ათვისების გზაზე.

მხურვალე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ჟურნალისტები ხომალდ „სოიუზ-4“-ის მეთაურის სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის **ვ. ა. შატალოვის** გამოსვლას.

...ტელევიზიით ვხედავდით, რა მშვიდად და ზუსტად მუშაობდა ეს ამოვანი კაცი ხომალდის ნაკვეთურში, შემდეგ კი ორბიტულ სადგურში. ამტომ დღის ყველას ეჩვენებოდა, რომ დიდი ინანა ალოს იცნობს მას და მის ამხანაგებს. ვლადიმერ შატალოვი შეკრებილთ უზიარებდა ეჩვეულო ფრენის დროს შეძენილ ფასდაუდებელ გამოცდილებას, დაწვრილებით ლაპარაკობდა იმ ორი ხომალდის შეპირაპირების უმაღლესი ექსპერიმენტზე, რომლებმაც შექმნეს მსოფლიოში პირველი ექსპერიმენტული ორბიტული სადგური.

100 მეტრი მანძილიდან, ჩაკეტილი ვლადიმერ შატალოვი, მე და ბორის ვოლინოვი გადაეკიდით ხომალდების ხელით მართვაზე. ავსასთან ვიცავდით ბათს საჭიროა ორიერთთორიენტაციას. ხომალდების მიახლოების სიჩქარეს ვიკვლევდი მათ შორის მანძილს მიხედვით.

ატლანტიკის ნაპირებთან, 7-8 ათას კილომეტრზე საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან, ერთმანეთს მიეახლოვდით დაახლოებით 40 მეტრზე და შეეასრულეთ ჩაკიდება. ამ მანძილზე მე და ბორის ვოლინოვმა შეეასრულეთ რამდენიმე მანევრირება, რომელთა დროს ვცვლიდით ხომალდების ერთიერთ მდგომარეობას და ამასთან ფოტოსურათებს ვიღებდით ერთმანეთს. შემდეგ განვაგრძეთ დაახლოება და დედამიწასთან პირდაპირი სატელევიზიო კავშირის ზონაში განვახორციელეთ შეპირაპირება. ამ პროცესის დანახვა შეგიძლოთ ტელევიზორის ეკრანზე. ეხლა შეკაბების თავიდან ასაცილებლად შეხების მომენტისათვის მიახლოების ფარდობითი სიჩქარე შევამცირეთ რამდენიმე ათეულ სანტიმეტრამდე წამში.

ამ სიჩქარით მოხდა სწორედ ხომალდ „სოიუზ-4“-ის ხომალდ „სოიუზ-5“-თან მიდგომა. მიდგომის დროს ხომალდ „სოიუზ-4“-ის შეპირაპირების მექანიზმის შტანგა შევიდა ხომალდ „სოიუზ-5“-ის მიმღები კონუსის ბუდეში და მოხდა ერთიერთმფიქსირი მოდება. შემდეგ განხორციელდა ხომალდების მიგადი მოჭერა და მათი ელექტრული გასართის შეერთება.

ამრიგად, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე პირველად ავაწყეთ და მოშუაობა დაიწყო ექსპერიმენტალურმა კოსმოსურმა სადგურმა. სადგურს, გაგაგრძო „სოიუზ-4“-ის მეთაურმა, ჰქონდა ოთხი საცხოვრებელი ნაკვეთური, რომელთა სიერთო მოცულობა 18 კუბურ მეტრს ეფარდა. ნაკვეთურებს შორის დამყარებული იყო სატელეფონო კავშირი, სათავსებში დაცული იყო კომფორტული პირობები ეკიპაჟის წევრთა მოშუაობისა და დასვენებისათვის.

ფრენის პროგრამით, განაგრძო ვ. ა. შატალოვმა, არ იყო გათვალისწინებული სადგურის ხანგრძლივი არსებობა, და ერთად სამი გარშემოვლის შემდეგ პოლეტიდან გაიცა ბრძანება ხომალდების განცალკევების შესახებ. ექსპერიმენტული ლოსმოსური სადგურის აწყობამ და ფრენამ საშუალება მოგვცა საჭირო მასალა მივიღეთ ხანგრძლივად არსებული სამეცნიერო-საკვლევი სადგურების შესაქმნელად. მომავალი ორბიტული სადგურები მოითხოვენ ეკიპაჟების შეცვლას, ეამზე ტვირთებისა და სამეცნიერო მოწყობილობის მიტანას. ექსპერიმენტებისა და საკონტროლო-საგზომნეტაო სამუშაოთა შესრულებას სადგურში, კვლევის მასალების გაგზავნას დედამიწაზე. ამ ოპერაციების ბევრი ელემენტი დაბეგრეულ ექსპერიმენტული სადგურის შემადგენლობაში ლოსმოსი ხომალდებს „სოიუზ-4“-ისა და „სოიუზ-5“-ის ფრენის დროს.

განცალკევების შემდეგ მუშაობა უფრო სახალისო გახდა, რადგან გვერდით ჩვენი მეგობრები იყვნენ. თვითეულმა მათგანმა იკისრა მოგალეობის ნაწილი, რასაც მე მარტოდ ფრენის დროს ვასრულებდი. 46-ე გარშემოვლის დროს შეიკუდიქით დაშვებისათვის მზადებას. სპეციალურ კონტეინერებში უნდა ჩაგვდოდა ბინა ეკიპაჟი ერთდროულად მუშაობდა კოსმოსში. ორმა მეთაურმა დღეს „ანგარიში ჩაბარა“ ეკრანლისტებს. ახლა სიტყვა ეძლევა ხომალდ „სოიუზ-5“-ის მეთაურს სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს **ბ. ვ. ვოლინოვს.** კვლავ ოვაცია, ტაში, ინონაპარატების ზუზუნი.

ბ. ვ. ვოლინოვი. ...ეს ფრენა „დედამიწიდან ეტანა დედამიწისირგვლივი, შემდგომში ეს ეტაპი ეტანა ორბიტული სადგურის ბორტზე. ეს ეტაპი ეტანა ორბიტული ფრენა „დედამიწიდან ეტანა დედამიწისირგვლივ“ ...

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი

კომიტეტმა თავის სხდომებზე განიხილა 1969 წლის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიაზე წარმოდგენილ კანდიდატურათა მასალები და მათი განხილვის შემდეგ, დებულების თანახმად, შემდეგი მსჯელობისათვის დატოვა შემდეგი კანდიდატები:

ლიტერატურის დარგში

1. ს. კლდიაშვილი — უკანასკნელი წლების მოთხრობები.
წარმოადგინა ჟურნალ „მნათობის“ რედაქციამ.

2. რ. მარგიანი — ლექსების კრებული „გამოღვიძება“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1967 წ.).
წარმოადგინეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ კოლეგიემ.

3. ა. მირცხულავა — „ასი ლექსი“ — (გამომცემლობა „მერანი“, 1968 წ.).
წარმოადგინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტმა, ალ. წოლოყაძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის რექტორატმა, ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრამ და პროფკომ-მასწავლებლებმა, ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ რედაქციამ.

მუსიკის დარგში

4. ა. გალანჩევაძე — მუსიკალური სუვენირები კამერული ორკესტრისათვის — სტვენი, ჩანგი, დაირა, სიფონტეპიანო კონცერტი № 4.
წარმოადგინა საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა.

სახვითი ხელოვნების დარგში

5. ე. ახვლედიანი — ნაწარმოებთა ხერია „ძველი და ახალი თბილისი“.
წარმოადგინეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა.

6. მ. ბერძენიშვილი — შოთა რუსთაველის ძეგლი მოსკოვში.
წარმოადგინეს საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობამ, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, საქართველოს კომპარტიის რუსთაველის საქალაქო კომიტეტმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა, საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტმა, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

7. ნ. კანდელაკი — სკულპტურული პორტრეტების ციკლი.
წარმოადგინა თბილისის სამხატვრო აკადემიის საბჭომ.

8. კ. მახარაძე — ფერწერული ტილო „მიწა ქართული“.
წარმოადგინეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა.

კინემატოგრაფიისა და თეატრალური ხელოვნების დარგში

9. გ. ასათიანი — სრულმეტრაჟიანი ფილმები: „ქვაში ამეტყველებული საუკუნეები“, „საუკუნეთა წყვდიადში“, „ჩვენი მეგობარი კორნელი“.
წარმოადგინეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირმა, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირმა, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა.

10. ი. რურუა (სცენარის ავტორი), ზ. პაპარაია (დამდგმელი რეჟისორი), ზ. ფელქაძე (ოპერატორი) — სრულმეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმი „პალესტინის სიძველეთა საიდუმლოებანი“.

წარმოადგინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს მხატვართა კავშირის პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირმა, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა.

11. მ. თუმანიშვილი (დამდგმელი რეჟისორი), ე. მანუჩარიანცი (მთავარი როლის შემსრულებელი) — რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სპექტაკლი „გვადი ბიგვა“.
წარმოადგინა საქართველოს აღმ. ქ. თბილისის კალინინის რაიკომმა.

12. ნ. რაბიშვილი, ი. სუხიშვილი (საქართველოს ხალხური ციკლის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის ხელმძღვანელები), ს. ვირსალაძე (ანსამბლის მხატვარი) — 1967–68 წლების ქორეოგრაფიული დადგმები.

წარმოადგინეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონიამ.

არქიტექტურის დარგში

13. ვლ. ალექსი-მესხიშვილი — თბილისის მეტროპოლიტენის მიწისქვეშა სადგურის „ლენინის მოედნისა“ და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობები.
წარმოადგინა საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა.

14. ო. კალანდარიშვილი — სასტუმრო „ოვერიონ“ შენობა.
წარმოადგინა საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი სთხოვს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ყველა დაინტერესებულ პირს ფირთო მონაწილეობა მიიღონ რუსთაველის პრემიაზე წარდგენილ ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებთა ყოველმხრივ განხილვაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი.

საერთაშორისო სხივჩუჯა

მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით

ბერლინი, 23 იანვარი. (საკადესი). აქ გამოქვეყნდა კომუნიკე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXII სესიის შესახებ, რომელიც ბერლინში მიმდინარეობდა 1969 წლის 21-23 იანვარს.

როგორც კომუნიკეშია ნათქვამი, იმასთან დაკავშირებით, რომ 1969 წელს სრულდება 20 წელი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს შექმნის დღიდან, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXII სესიამ საზეიმო სხდომაზე მოისმინა საბჭოს მდივნის მოხსენება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 20 წლისთავის შესახებ და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნებისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციათა მეთაურების სტუმენი. სესიამ აღნიშნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ნაყოფიერი საქმიანობა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ყოველმხრივი ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებისათვის.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის ორგანიზაციის დარგში ყოველივეს ხორციელდება სრული თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და ეროვნული ინტერესების პატივისცემის, ურთიერთსარგებლობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების პრინციპთა საფუძველზე, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში. ეს შეესაბამება სოციალისტური ქვეყნების ახალი ტიპის საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობას და ხელს უწყობს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ყველა ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობას, მათი ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის გაფართოებასა და განმტკიცებას.

საბჭოს სესია აღმაყოფილებით აღნიშნავს, რომ განვლილ 20 წელიწადში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობა მიმდინარეობდა ზემოაღნიშნულ პრინციპთა განხორციელების სულისკვეთებით, რომელმაც ემყარება საბჭოს წევრი ქვეყნების ურთიერთობა. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობა ეფუძნება ეროვნული სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის, ეროვნული ინტერესების, ეკონომიური ურთიერთსარგებლობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების პრინციპთა საფუძველზე, ნათქვამია შემდეგ. ეს შეესაბამება სოციალისტური ქვეყნების ახალი ტიპის საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობას და ხელს უწყობს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ყველა ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობას, მათი ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის გაფართოებასა და განმტკიცებას.

სესიამ ასევე აღნიშნა, რომ 1968 წელს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეროვნული შემოსავალი მთლიანად გაიზარდა 4-ჯერ და მეტად, ამავე პერიოდში ამ ქვეყნების საერთო სამრეწველო წარმოება გაიზარდა 5,9-ჯერ, ამასთან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში — 9,8-ჯერ; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში — 4,7-ჯერ, ვერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — 4,7-ჯერ, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში — 6,1-ჯერ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში 6,4-ჯერ, რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში — 9,1-ჯერ, სსრ კავშირში — 5,9-ჯერ და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში — 4,4-ჯერ, ამავე პერიოდში სამრეწველო წარმოება კაპიტალისტურ ქვეყნებში გაიზარდა მხოლოდ 2,6-ჯერ. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სამრეწველო წარმოების ზრდის უფრო სწრაფი ტემპის შედეგად მათი წილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში 1968 წელს თითქმის მესამედს შეადგენდა.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სახალხო მეურნეობა სულ უფრო მეტად ვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ზეგავლენით. წარმატებით ვითარდება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგები. განუწყვეტლივ ფართოვდება მათი საგარეო სავაჭრო ურთიერთობა. 1967 წელს საბჭოს წევრი ქვეყნების საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 5,5-ჯერ გადაამეტა საქონელბრუნვის მოცულობას 1950 წელს. ამ პერიოდში საბჭოს წევრი ქვეყნების წილი მსოფლიოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 6,5 პროცენტიდან 10,3 პროცენტამდე გაიზარდა.

სულ უფრო რთული ამოცანები, რომლებიც საბჭოს წევრი ქვეყნების წინაშე ისახებოდა მათი ეკონომიკის განვითარების დარგში, აღნიშნულია კომუნიკეში, საბჭოს უყენებდნენ ახალ მოთხოვნებს და აიძულებდნენ განუწყვეტლივ გაფართოებულიყო და გაღრმავებულიყო მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა, უფრო სრულყოფილი გამხდარიყო მისი ფორმები და მეთოდები მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპთა საფუძველზე.

საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარება და სრულყოფა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობა ამ ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების და მთავრობების მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის საგანია.

მუშაობა გეგმების კოორდინაციისათვის, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების განვითარების ძირითადი საშუალებაა.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო ხელს უწყობდა წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციასა და კოოპერირებას მრეწველობის სხვადასხვა დარგში.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობაში მნიშვნელოვნად განვითარდა ურთიერთსაინტერესო მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაცია, სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციისა და სხვა მოწინავე საწარმოო გამოცდილების გაცვლა და გაზიარება.

ავითარებენ რა თანამშრომლობას, აღნიშნულია კომუნიკეში, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები ამავე დროს თანამიმდევრულად ახორციელებენ პოლიტიკას, რომლის მიზანია ეკონომიური ურთიერთობის განვითარება მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან, და იწინაშეს ყოველისა, სოციალისტურ ქვეყნებთან, რომლებიც ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები არ არიან, განვითარებადს ქვეყნებთან, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან, მიუხედავად მათი სოციალ-ეკონომიური სისტემებისა, თანასწორუფლებიანობის, ურთიერთსელსაყრელობის, სშინაო საქმეებში ჩაურევლობის, სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპების საფუძველზე.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო ღია ორგანიზაციაა, საბჭოს წევრად მიიღება თავისუფალია სხვა ქვეყნებისათვის, რომლებიც იზიარებენ საბჭოს მიზნებსა და პრინციპებს და განაცხადეს თანხმობა იკისრონ წესდებაში მოცემული ვალდებულებანი. საბჭოს მუშაობაში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნებმა, რომლებიც არ არიან მისი წევრები.

განვლილი 20 წლის მანძილზე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭომ შეიძინა მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარების მდიდარი გამოცდილება, მისი საერთაშორისო ავტორიტეტი განუზომლად გაიზარდა.

თავიანთი ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები ერთსულოვნად ესწრაფვიან კვლავაც სრულყონ და გაღრმავონ ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა, რომელიც სულ უფრო არსებითი ფაქტორი ხდება მათი შემდგომი ეკონომიური და სოციალური პროგრესისათვის.

სესიამ განიხილა აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენება საბჭოს 21 და 22 სესიებს შორის პერიოდში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის შესახებ და მისი შედეგები. მთავარი მიმართულებებისა და უახლესი პერიოდის ამოცანების შესახებ.

სესიამ აღნიშნა, რომ ამ პერიოდში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა ვითარდებოდა, როგორც წინათ, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად.

ამ წლების მანძილზე მოპოვებულია ახალი წარმატებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის განვითარებაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

სესიამ მოიწონა აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობა და გასაზღვრა უახლოესი პერიოდისათვის ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების ძირითადი ამოცანები.

სესიამ ქვეყნებს ურჩია და საბჭოს ორგანოებს დაავალა უზრუნველყონ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების გეგმების კოორდინაციის პროგრამით გათვალისწინებული, მთელი სამუშაოების დროულად შესრულება, მათ შორის 1971-1975 წლებში ეკონომიური თანამშრომლობის გამოვლენილი პრობლემების კომპლექსური შემუშავება.

მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები და საბჭოს ორგანოები უფრო ფართოდ გამოიყენებენ დაინტერესებულ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს და მთავარ ყურადღებას დაუთმობენ მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების უმნიშვნელოვანეს დარგებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნების ტექნიკური პროგრესისათვის.

1970 წელს სრულდება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი, ამასთან დაკავშირებით სესიამ გადაწყვიტა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი აღნიშნოს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში.

საბჭოს სესიაზე საკითხების განხილვა მიმდინარეობდა ძმური მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

ლიბანის მთავრობის რეორგანიზაცია

ბეირუთი, 23 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი პ. ეგოროვი გვატყობინებს:

აქ გამოაცხადეს, რომ მოხდა ლიბანის მთავრობის ნაწილობრივი რეორგანიზაცია. მინისტრთა საბჭო გუშინდელ სხდომაზე, რომელიც გაიმართა პრეზიდენტ ხელუს თაგმჯდომარეობით, დათანხმდა ოთხი მინისტრის — მემარჯვენე ბურჟუაზიული მოღვაწეების — პიერ ჟმაიელის, რაიმონ ედეს, ჰუსეინ მანსურისა და ნასრი მაალუფის გადადგომას, რომლებიც მთავრობის შემადგენლობიდან გამოვიდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობაში წარმომადგენელი არ ჰყავს რეაქციული „თავისუფალ პატრიოტთა პარტიას“, რომელსაც მეთაურობს ყოფილი პრეზიდენტი ქამილ შამუნი. მათ ნაცვლად მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანეს პარლამენტის დეპუტატები იუსეფ სალემი (საგარეო საქმეთა მინისტრი), კალილ ჯრრი (შრომისა და სოციალურ საქმეთა მინისტრი) კაბრიბ ქეირუზმ) (ტურიზმის მინისტრი) და მუკამედ საფიედინი (დაგეგმვის მინისტრი).

ახალ დანიშნულებთან დაკავშირებით ხელახლა განაწილდა მინისტრთა პორტფელები. ახლა პრემიერ-მინისტრი რაშიდ კარამმ სათავეში ჩაუდგა ფინანსთა სამინისტროს. სოციალურ საქმეთა ყოფილმა მინისტრმა რენმ მუაუადმ მიიღო საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრის პორტფელი.

პოლიტიკურ მიმოხილველთა აზრით ის, რომ მთავრობის შემადგენლობიდან გამოვიდნენ მემარჯვენე ბურჟუაზიული ქრისტიანული პარტიების — კატაიბისა და ეროვნული ბლოკის წარმომადგენლები, რომლებიც „თავისუფალ პატრიოტთა პარტიასთან“ ერთად ქმნიან „სამთა კავშირს“, ზიანს ვერ მიაყენებს რაშიდ კარამეს კაბინეტის პოლიტიკურ პოზიციებს, ვინაიდან პოლიტიკურ ძალებს, რომელთა წარმომადგენლები ახლა მთავრობაში არიან, პარლამენტში ჰყავთ უმრავლესობა და ეყრდნობიან ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული წრეების მხარდაჭერას.

ტრაგედია კუნძულ კრეტაზე

ლონდონი, 24 იანვარი. (საკდესი). ინგლისურმა გაზეთმა „გარდიანმა“ დაბეჭდა საბერძნეთიდან მიღებული ვერილი, რომელშიც იუწყებიან უპატონობის და თვითნებობის ახალ ფაქტებს, რასაც საბერძნეთის სამხედრო ხუნტა სჩადის. წერილში, რომელიც ფარულად გადმოუგზავნიათ ინგლისში, აღწერილია საშინელი მდგომარეობა 167 პოლიტიკური პატიმარი ქალის, რომლებიც კუნძულ კრეტაზე ალიკარნასის საპატიმროში არიან.

წერილში ნათქვამია, რომ საპატიმროს ნახევრად დანგრეული შენობა ვერ იცავს პატიმრებს წვიმისაგან, ქარისაგან, საკნები არ თბება, იქ შუდამ სინესტეა.

ყოველივე ეს იწვევს სხვადასხვა დაავადებას საპატიმროს ტუსაღებს შორის და, კერძოდ, ტუბერკულოზით დაავადებას. ამავე დროს პატიმრებს არ უწევენ რაიმე სამედიცინო დახმარებას.

დაპატიმრების შემდეგ ბევრ ქალს შინ დარჩა პატარა ბავშვები, რომლებსაც მომფლელი არა ყავთ, რამდენადაც ბევრი პატიმარი ქალის ქმრებიც საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში არიან. დღემდე დედებმა არაფერი იციან თავიანთი შვილების შესახებ.

წერილში აღნიშნულია, რომ არც ერთი დაპატიმრებული ქალისათვის აქამდე არ წაუყენებიათ რაიმე ბრალდება.

საბერძნეთის მთავრობა, ნათქვამია დასასრულს წერილში, ყოველგვარი საშუალებით ცდილობს დაფარის ის ფაქტი, რომ კუნძულ კრეტაზე არის საკონცენტრაციო ბანაკი ქალებისათვის.

მსოფლიო დღეს

უცხოეთის დეკეშათა საგენტოები იუწყებიან

ქრონიკა ● პრობლემები

პატრიოტთა გაბედული იერიშები

ჰანოი, 24 იანვარი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ნაწილთა ქვეგანაყოფებმა, რომლებიც კანობოს პროვინციაში მოქმედებენ, 4-დან 13 იანვრამდე ორჯერ მიიტანეს იერიში მტრის დიდ სამხედრო აეროდრომზე ლოტში. სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა ენერგიული მოქმედების შედეგად, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს განთავისუფლების პრესის სააგენტოს, მოსპობილია მტრის 75 თვითმფრინავი, მწყობრიდან გამოყვანილია მოწინააღმდეგის 200 სამხედრო მოსამსახურე, ძირითადად ამერიკელები, ხელიოზულად დაზიანებულია აეროდრომის ნაგებობანი.

ლიბანელ ბავშვთა ბედი

ბეირუთი, 24 იანვარი. (საკდესი). ბეირუთის ბავშვთა ბაღებში ბავშვებს ეძინათ ბალიშებზე, ბალიშებიდან ამოღებული ბუმბულ-ბალიშებიდან ამოღებული ბუმბულ-ბალიშებიდან ამოღებული ბუმბულ-

ჩვენს პრე-მარეში

ლენინის ოთახი სკოლაში

გურჯაანი. (საკ. კორ.). მჭიდრო მეგობრობა აკავშირებთ გურჯაანის რაიონის მოსწავლეებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან. დიდია მოსწავლეთა წვლილი მუზეუმის ფონდის გამდიდრებაში, მაგრამ ვალში არც მუზეუმის მუშაკები რჩებიან, არ აკლებენ მეთოდურ დახმარებას სასკოლო მუზეუმების მოწყობის საქმეში.

ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით ვაზისუბნელმა მოსწავლეებმა მოაწყეს „ლენინის ოთახი", სადაც დამთვალიერებელი ნახავს რევოლუციის დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ფერწერულ ტილოებს, ფოტომასალებს, გაეცნობა მდიდარ ლიტერატურას. „ლენინის ოთახის" მოსაწყობად საინტერესო ექსპონატებს და სასტენდო მასალებს აგროვებენ ახალნის საშუალო სკოლაშიც. „ლენინის ოთახები" მოკლე ხანში გაიხსნება რაიონის სხვა სკოლებშიც.

□

სახლი მუშეგისათვის

სურამის მინის ტარის ქარხნის მუშებმა მიიღეს ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი 55 ბინით.

მალე ახალგაზრდა საწარმოს მშრომელები კიდევ ერთ საჩუქარს მიიღებენ. აქ მთავრდება საბავშვო ბაღ-ბაღის შენობის აგება.

დ. შარეიშვილი.

დამსახურებული სახელით სარგებლობს წყალტუბოს სამკურნალო წყლები. ყოველდღე თვითმფრინავებს, მატარებლებს, მანქანებს ჩამოპყავთ ამ სამასამდე დამსვენებელი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. მარტო გასულ წელს აქ საგზურებით დაისვენეს ასი ათასზე მეტმა მშრომელმა. სრული დატვირთვით მოქმედებს წყალტუბოს ყველა 15 სანატორიუმი და 10 საამბულატორიო წყარო. **სურათზე:** სანატორიუმ „მეშახტის" დამსვენებელთა ჯგუფი.

ფოტო **ბ. ბერსამიანი** (საქფესის ფოტოქრონიკა).

მშოგლიურ ქალაქს მიუძღვნეს

რუსთავი. (საკ. კორ.). წელს ქართველ მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქს ოცდამეერთე წელი უსრულდება. ქალაქის საზოგადოებრიობამ ამ თარიღისათვის მზადება ადრევე დაიწყო. ბიბლიოთეკებში, წითელ კუთხეებში, კულტურის სახლებსა და კლუბებში მოწყობილია გამოფენები, რომლებიც ქალაქ რუსთავს ეძღვნება.

გამოფენაზე წარმოდგენილია პირველი მშენებლების, მეტალურგების, ქიმიკოსების ფოტოსურათები, ექსპონირებულია რუსთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურა.

ლაჰარაკობს და უჩვენებს თბილისი

რადიო

● კვირა, 26 იანვარი

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.15 — გადაცემათა პროგრამა, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 07.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 08.00 — გაზეთ „პრავდის" ფურცლებზე (მოსკოვი), 08.10 — განცხადებები, 08.25 — გადაცემათა პროგრამა, 08.30 — საბალეტო მუსიკა, 09.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 09.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.20 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის" საკვირაო გამოშვება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების მიმოხილვა (მოსკოვი), 10.15 — „დილა მშვიდობისა" (მოსკოვი), 11.00 — „პიონერთა დაფიონი" (მოსკოვი), 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.40 — გადაცემათა პროგრამა, 11.45 — რ. ლაღიძე. ნაწყვეტები ოპერეტა „კომბლიდან", 12.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 12.05 — მუსიკალური რადიოფიშა, 12.30 — რადიოჟურნალი „ფიზიკულტურა და სპორტი", 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-სუბბარი „ტრადიცია და ნოვატორობა", 14.00 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „უფროსი პიონერხელმძღვანელი", 14.45 — „ქვეყნებში და კონტინენტებზე" (მოსკოვი), 15.00 — „მეგობრობის კონცერტი". ტრანსლაცია ერევნიდან, 15.40 — „ახალი ლიტერატურული ჩანაწერები", 16.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 16.15 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. რადიოჟურნალი „ისმინე, ჯარისკაცო!", 16.50 — განცხადებები, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — დ. მჭედლიძის კონცერტი, 17.30 — რადიონარკვევი „ლენინური გაზეთის კომუნისტები", 17.45 — რ. გაბიჩავაძე. კამერული სიმფონია ცხრა საკრავისათვის, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 19.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 19.30 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — ლ. ქიაჩელი. „ჰაკი ადბა", რადიოდადგმა, 21.30 — ფ. პოლენკის ნაწარმოებები, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 22.50 — სიმღერები ე. გვაზავასა და ე. ცოცანიშვილის შესრულებით, 23.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 23.30 — მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

● შაბათი, 25 იანვარი

09.20 — გადაცემათა პროგრამა, 09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — მუსიკალური მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 11.40 — კინონარკვევი, 12.00 — „ტელეპანორამა", 12.30 — კინოპროგრამა, 13.00 — „პროგრესი" — საინტერვიზიო ჟურნალი (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა სოჩიდან), 14.00 — სატელევიზიო თეატრი ბავშვებისათვის — „მოკვდეს ჯადოარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — „ეთერშია ახალგაზრდობა" (გადმოცემა გორკიდან), 17.00 — გადაცემა ბავშვებისათვის. „მუსიკის საათი", 17.45 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა, 19.00 — კინონარკვევი, 19.10 — გადაცემა „სახელოვანი დასტაქარი — აკადემიკოსი ნიკოლოზ ანთელავა", 19.30 — საინფორმაციო პროგრამა „მოამბე", 19.55 — გადაცემათა პროგრამა, 20.00 — მხიარულთა და საზრიანთა კლუბი — (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.45 — ვისაუბროთ „ქართულ ტელეფილმებზე", 23.00 — გადაცემა ციკლიდან „შემოქმედებითი პორტრეტები" — რამაზ ჩხიკვაძე, 24.00 — ევროპის პირველობა ციგურებით სირბილში.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 10 საათიდან.

● კვირა, 26 იანვარი

09.20 — გადაცემათა პროგრამა, 09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხაზვილოვით გეომეტრიაში, 10.30 — ბავშვებისათვის. „ბაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ლენინგრადის საუნჯე" (გადმოცემა ლენინგრადიდან), 11.45 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 11.55 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე" — 1934 წელი (ქართულ ენაზე), 12.45 — „მეგობრების მოკითხვები" (ქართულ ენაზე), 14.15 — მხატვრული ფილმი „მედოლის ბედი", 15.00 — „სოფლის საათი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.40 — კინონარკვევი, 17.00 — მოსწავლეთათვის. სატელევიზიო ჟურნალი „სპეოვნელეა", 18.00 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა — მუსიკალური გასართობი გადაცემა, 19.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.10 — კინონარკვევი, 19.30 — საკვირაო გასართობი პროგრამა, 20.15 — „კინოფიშა", 20.45 — სატელევიზიო ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება", 21.45 — ქართული მხატვრული ფილმი „მაია წყნეთელი", 23.25 — გადაცემათა პროგრამა მეორე დღისათვის, 23.30 — ევროპის პირველობა ციგურებით სირბილში (გადმოცემა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 10 საათიდან.

● ორშაბათი, 27 იანვარი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 11.15 — ბავშვებისათვის. „მოდი, ზღაპარო!" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა, 13.15 — „გაკვეთე ჩვენთან ერთად, ჩვენსავით, ჩვენზე უკეთ" (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — „ცეროდენას ეკრანი", 18.40 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ", 19.00 — „თქვენზე ფიქრში", 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — საქართველოს ტელევიზიის ფერადი პროგრამა: 1. „გაკოცხლებული ნასტატები" — მულტიპლიკაციური ფილმები უფროსებისათვის; 2. მუსიკალური პროგრამა, 21.30 — „დრო" — საინფორმაციო პროგრამა, 22.15 — „თეატრალური შეხვედრები" (გადმოცემა ლენინგრადიდან), 23.15 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 10 ს. და 55 წუთიდან.

● სამშაბათი, 28 იანვარი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 11.15 — კინოპროგრამა, 11.55 — ქართული მხატვრული ფილმი „მაია წყნეთელი", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „ფოტოალბომი მოგვითხრობს" — შეხვედრა ჟურნალ „სოვეტსკოე ფოტოს" თანამშრომლებთან (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — ბავშვებისათვის. „ჩემი სკოლა", 19.30 — კონცერტი, 19.50 — „სახალხო კონტროლის ეკრანი", 20.20 — პიონერული მხატვრული ფილმი „დამნაშავე კვალს ტოვებს", 21.45 — „მოამბე", 22.10 — „პროგრამა მეორე დღისათვის, 22.15 — „კინოპანორამა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.45 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 ს. და 55 წუთიდან.

● ოთხშაბათი, 29 იანვარი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 11.25 — „სახალხო კონტროლის ეკრანი" (28 იანვრის გადაცემის გამეორება), 11.55 — კინონარკვევი, 12.15 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — მხატვრული ფილმი „ბენზინის ფარფლის ლეგენდა", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „ეროვნული ანსამბლი" — საქართველოს ტელევიზიის ფერადი პროგრამა (გადმოცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 19.00 — ბავშვებისათვის. „ვიმოგზაუროთ დედამიწის გარშემო" — იტალია, 19.50 — გადაცემა „თბილისის ხარაზოები", 20.15 — სატელევიზიო მიმოხილვა „მუსიკის სამყაროში", 21.15 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ადამიანი ჩრდილში", 22.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 23.10 — პროგრამა მეორე დღისათვის, 23.15 — ეთერშია „ახალგაზრდობა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 24.00 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 10 ს. და 55 წუთიდან.

● ხუთშაბათი, 30 იანვარი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 11.25 — — გადაცემა „თბილისის ხარაზოები" (29 იანვრის გადაცემის გამეორება), 11.50 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ადამიანი ჩრდილში", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.40 — გადაცემა ციკლიდან „ქართული სპორტის ისტორიიდან", 19.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.30 — გადაცემა „ბაგრის საუბრები", 20.00 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა. მხატვრული ფილმი „ყმა მსახიობი ქალი", 21.40 — „იავნანა" — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის, 22.20 — კინონარკვევი, 22.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 23.00 — „თეატრა ლური შეხვედრები" — გორკის სახელობის ლენინგრადის დიდი აკადემიური დრამატული თეატრის 50 წლისთავის გამო (გადმოცემა ლენინგრადიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. 10 ს. და 55 წუთიდან.

● პარასკევი, 31 იანვარი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 11.15 — კინოპროგრამა, 11.55 — მხატვრული ფილმი „ადამიანი ჩრდილში", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ბავშვებისათვის — „ბალთან მეფის ზღაპარი", 18.40 — „ჩემი სკოლა", 19.30 — კონცერტი, 19.50 — „სახალხო კონტროლის ეკრანი", 20.20 — პიონერული მხატვრული ფილმი „დამნაშავე კვალს ტოვებს", 21.45 — „მოამბე", 22.10 — „პროგრამა მეორე დღისათვის, 22.15 — „კინოპანორამა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.45 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 ს. და 55 წუთიდან.

თეატრები

25 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გვადი ბიგვა, **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ანტიგონე, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — წმინდანები ჯოჯოხეთში, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ჩემი მშვენიერი ლედი, **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — შვიდფერა ყვავილი (№ 36 აბონ. დილის 10 ს. და 30 წ.), წითელქუდა (№ 29 აბონ. საღ. 5 ს.).

კინო

25 იანვარი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, საქართველო (მწვანე დარბაზი), ისანი, გაზაფხული, კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — **ოქროს ტყვია**, ოქტომბერი, სპარტაკი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი **იღბლიანობის ზიგზაგი**, ოქტომბერი — **საჰაერო თავგადასავლები** (I, II სერია), 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი და მეორე დარბაზი). თანამგზავრი (რუსული ვარიანტი), ნაკადული (ქართული ვარიანტი), ძერძინსკის სახელობის კლუბი — **ხანგამი** (I, II სერია), 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — **სალთან მეფის ზღაპარი**, კომკავშირული — **დავა „ოქროს ქალღმერთისათვის"**, კომკავშირული (4, 6, 8, 10 ს.), ყაზბეგი (II დარბაზი), ბათუმი, ოფიცერთა სახლი — **მთავარი სამხილი**, თბილისი — **ერთგული ხელი — ინდიელთა მეგობარი**, თბილისი (5, 7, 9 ს.) — **ფანტომასი სკოტლანდ-იარდის წინააღმდეგ**, გორკის სახელობის კულტურის სახლი — **მოუსვენარი მეურნეობა**, თანამგზავრი — **ჩინგაჩგუკი — დიდი გველი**, კოლმეურნე, საქართველო (წითელი დარბაზი) — **სიყვარულის სამი ღამე**, ნაკადული — **ზურგის ჭარს გისურვებ „ლუჩჯო ფრინველო"** (11, 1, 3, 5 ს.).

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

დედაქალაქის საკონცერტო დარბაზებში

მუსიკალური ფერწერის ოსტატი

ახალმოწოფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ამ რამდენიმე დღის წინათ გამართული კონცერტი დიდხანს დაამახსოვრდება ქართველ საზოგადოებას. კონცერტი მთლიანად შედგებოდა **ქართველი კომპოზიტორის ერეკლე ჯაბადარის** მუსიკალური ნაწარმოებებიდან, მისი სიმფონიური, სოლისტური და კამერული მუსიკიდან.

კონცერტის მთავარი თემა იყო ერეკლე ჯაბადარის მუსიკა, ამ მუსიკას დირიჟორობდა **შოთა ჯაბადარი**, ხოლო მესამე ძმა ილია დარბაზიდან ადევნებდა თვალყურს მუსიკის მსვლელობას გულტატკივებული და აღგზნებული.

ერეკლე ჯაბადარის მუსიკა იქმნებოდა სამშობლოს გარეთ, როცა „მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა მშობელ ქვეყანას ზედ მოჰფენოდა", როცა „მშობელი შობილს არრას ეტყოდა" და „ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი ქართველს ძილშია კვნესა ისმოდა", ამ დროს უცხოეთში შეხვნილ ქართულ ოჯახში იქმნებოდა ქართული ოპერა, რაფსოდია, სიმფონიური პოემა, ვარიაციები, სონატინა, ორკესტრი და სოფორტეპიანო მინიატურები, და მშობლიური ხალხური თემები ეღებოდა სიფიცხვლად ამ ახლად შექმნილ ქართულ პროფესიულ მუსიკას. ამით ყალიბდებოდა საქართველოში წინარე ეტაპი იმ მძლავრი შემოქმედებისა, რომელსაც შემდეგში ეორეული ეტაპი ამ მძლავრი შემოქმედებისა, რომელსაც ეწოდა ეროვნული ეტაპი.

ეროვნული ეტაპი ეწოდა ეროვნული ეტაპი, ეროვნული ეტაპი, ეროვნული ეტაპი,